



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: 31.31203293

თარიღი: 24/11/2020

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის ოქმი N5

ქ. ლანჩხუთი

20.11.2020წელი

15.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე**.

კომისიის წევრები: ზაზა წულაძე, ბესიკ კუპრაძე, აკაკი იმნაიშვილი, სპარტაკ კვაჭაძე, ოთარ პატეიშვილი, კახა თედორაძე, ცისანა ურუშაძე, ემზარ თევდორაძე, კახა ბოლქვაძე, ვენე კვირკველია.

მოწვეული სტუმარები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე**.

სხდომას ესწრებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვლადიმერ ნანაძე**, ლანჩხუთის საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრაღიძე**.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

3. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 11; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხი: კომისიის თავმჯდომარემ გიორგი გვარჯალაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს სხვადასხვა ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ნუსხა.

2021 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების ნუსხა:

- 1 ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი შენობების ფასადების და ეზოების რეაბილიტაცია 300000
- 2 ქალაქ ლანჩხუთში 8 ქუჩაზე სანიაღვრე არხების მოწყობა 750000
- 3 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია 1200000
- 4 ქალაქ ლანჩხუთში 3 მრავალბინიანი სახლის სახურავის რეაბილიტაცია 300000
- 5 ქალაქ ლანჩხუთში 7 ქუჩაზე ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობა 1200000
- 6 ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყვავილნარში, გზის რეაბილიტაცია 800000
- 7 ჟორდანიას სახელობის სკვერის მიმდებარედ ტერიტორიის რეაბილიტაცია 250000
- 8 ორაგვის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობა 1200000
- 9 კურორტ გრიგოლეთში შიდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება 600000
- 10 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 800000
- 11 სოფ. ჩიბათში კოლხეთის ეროვნულ პარკში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 573160

ჯამი 7973160

ასევე, საკრებულოს გასაცნობად გადმოეგზავნა 2021 წელს სასკოლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მხრივ დაგეგმილი პროექტების ნუსხა.

- 1 სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის საჯარო სკოლის შენობაზე სველი წერტილის მიშენება 95671.7
- 2 სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის შენობაზე სველი წერტილის მიშენება 93194.89
- 3 სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ მამათის საჯარო სკოლის შენობაზე სველი წერტილის მიშენება 52068.33

4 სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოთის სკოლის შენობაზე სველი წერტილის მიშენება 60287.49

5 სსიპ გია ტრაპაიძის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო აკეთის საჯარო სკოლის შენობაზე სველი წერტილის მიშენება 52258.65

6 სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის სკოლის შენობაზე სველი წერტილის მიშენება 68066.05

7 სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლის შენობაზე სველი წერტილის მიშენება 94750.41

8 "სსიპ რუსლან წულაშის სახელობის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიანის საჯარო სკოლის (ჯაპანის დაწყებითი კორპუსის) შენობაზე სველი წერტილის მიშენება" 54594.12

9 სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელის საჯარო ძირითადი კორპუსის (ომფარეთის კორპუსის) ეზოში ჭაბურღილი მოწყობა 136173.64

10 სუფსის საჯარო სკოლის გრიგოლეთის კორპუსის საპირფარეშოების მოწყობა 42211.15

11 სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომისუბნის სკოლა ძირითადის სკოლის ეზოში ჭაბურღილი მოწყობა 136173.64

12 სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯურუყვეთის #2 საჯარო სკოლის შენობაზე სველი წერტილის მიშენება 18514.07

13 ლანჩხუთის მეორე სკოლის შენობის გათბობის რეაბილიტაცია 89155

14 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. სუფსის საჯარო სკოლის შენობის გათბობის რეაბილიტაცია 112214.16

15 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. შუხუთის საჯარო სკოლის შენობის გათბობის რეაბილიტაცია 107341.13

16 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. შუხუთის საჯარო სკოლის გარე ფასადის რეაბილიტაცია 81082.6

17 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ხაჯალიის საჯარო სკოლის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 133832.2

18 ნიგვზიანის საჯარო სკოლის არჩეულის კორპუსის სველი წერტილის რეაბილიტაცია (სამი კაბინა მათ შორის ერთი ინკლუზიური) 40631.1

19 ჩოლობარგის საჯარო სკოლის ქვიანის კორპუსის საპირფარეშოების მოწყობა (სამი კაბინა მათ შორის ერთი ინკლუზიური) 45986.5

20 მამათის საჯარო სკოლის ქვ. მამათის და კონჭკათის კორპუსებში საპირფარეშოების მოწყობა (თითოეულში სამი კაბინა მათ შორის ერთი ინკლუზიური) 43595.5

21 ჯურუყვეთის №1 საჯარო სკოლის პირველი სართულის საკლასო ოთახების რეაბილიტაცია 129430.5

ჯამი 1687232.83

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული იქნა შენიშვნები.

საკრებულოს დეპუტატმა **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არის ძალიან დიდი პრობლემა შიდა გზებთან დაკავშირებით და მოითხოვა შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის თანხის გაზრდა 4 მილიონი ლარით.

დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტების მოწონების ნუსხა შენიშვნების გათვალისწინებით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

მომხრე 11; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე წლის შემოსავლების მობილიზაციის საკითხი და წინა ორი წლის ფაქტობრივი მდგომარეობა. ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვრა 11 350,4 ათასი ლარით. ამათგან გადასახადები შეადგენს 9 020,3 ათას ლარს, გრანტები 220 000 ლარს, ხოლო სხვა შემოსავლები შეადგენს 2 110,1 ათას ლარს. წელსაც მსგავსად 2020-ისა ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლებში არ აისახება საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მთლიანად მიიმართება ცენტრალურ ბიუჯეტში. შეგახსენებთ, რომ გაუქმებულია გათანაბრებითი ტრანსფერი და მის ნაცვლად ადგილობრივ ბიუჯეტებში მიიმართება დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც შეადგენს 7 520,3 ათას ლარს აღნიშნული ცვლილებები მიღებულია ქვეყნის პარლამენტის მიერ. ქონების გადასახადი რომელიც ასი პროცენტით შევა ადგილობრივ ბიუჯეტში, შეადგენს 1 500 000 ლარს. 220 000 ლარი წარმოადგენს მიზნობრივ ტრანსფერს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. სხვა შემოსავლები შეადგენს 2 110,1 ათას ლარს. მათგან 1 837,1 ათას ლარს შეადგენს შემოსავლებს ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან. ამ ეტაპისთვის ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტები დადგენილი არ არის, მათი დადგენის შემდეგ ადგილობრივ ბიუჯეტში ასახული იქნება კაპიტალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ა.(ა).ი.პ.-ების დაფინანსების შენარჩუნება ძირითადად 2020 წლის დონეზე, მცირე მატების ფონზე, რომლის თაობაზეც ინფორმირებულია საკრებულოს წევრები.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** მოუწოდა კომისიის წევრებს დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2021 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი საკრებულოს სხდომას გადაეცეს შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს;

მომხრე:11, წინააღმდეგი: არცერთი.

3.სხვადასხვა.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი გვარჯალაძე

გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტრუქტურის კომისია-საკრებულოს სივრცით-
ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისია**

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N5

ქ. ლანჩხუთი

20.11.2020 წ.

2020 წლის 20 ნოემბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტების განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

3. სხვადასხვა

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: 1. „ლანჩუთის მუნიციპალიტეტში 2021 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად, გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად შენიშვნების გარეშე.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე:

გ. შ. 83135617 გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის
სარეგისტრაციო ფურცელი

20.11.2020 წელი

15:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	გიორგი გვარჯალაძე	15.00	გ. გვარჯალაძე
2.	ცისანა ურუშაძე	15.05	ც. ურუშაძე
3.	კახა ბოლქვაძე	14:57	კ. ბოლქვაძე
4.	ბესიკ კუპრაძე	14:57	ბ. კუპრაძე
5.	ოთარ პატიშვილი	14:55	ო. პატიშვილი
6.	სპარტაკ კვაჭაძე	14:58	ს. კვაჭაძე
7.	ლელა ჩახვაძე	—	ლ. ჩახვაძე
8.	ზაზა წულაძე	14:58	ზ. წულაძე
9.	რეზო კვაჭაძე	—	რ. კვაჭაძე
10.	კახა თედორაძე	14:55	კ. თედორაძე
11.	იოსებ ჩხაიძე	—	ი. ჩხაიძე
12.	ამირან ქანთარია	—	ა. ქანთარია
13.	აკაკი იმნაიშვილი	15:00	აკაკი იმნაიშვილი
14.	ელისო ჭიჭინაძე	—	ე. ჭიჭინაძე
15.	ირაკლი მარშანიშვილი	—	ირაკლი მარშანიშვილი
16.	ემზარ თევდორაძე	15:00	ემზარ თევდორაძე
17.	ვენე კვირკველია	14:50	ვენე კვირკველია